

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა

და

შპს „გიგი“-ს შორის

ქ. ბათუმი

22 ივლისი 2019 წ.

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „ბსუ“), წარმოდგენილი რექტორის ასოც. პროფესორის მერაბ ხალვაშის მიერ და მეორე მხრივ შპს „გიგი“ ს/კ445545964 (შემდეგში „გიგი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯამბულ აბაშიძის მიერ, (შემდეგში „მხარეები“) თანხმდებიან პროფესიულ საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. შპს „გიგი“ უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“-ს სტუდენტთა გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის გავლას და მოდულებით გათვალისწინებული სხვა საკითხების შესწავლას პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცების მიზნით, მხარეებს შორის შეთანხმებული კონტიგენტის ფარგლებში.
2. მხარეები:
 - ა) დარგობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბების მიზნით, მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და ა. შ.);
 - ბ) დაგეგმვენ და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო ტრენინგებს, საინფორმაციო შეხვედრებს და სხვა;
 - გ) უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის „საფინანსო სერვისები“-ს ფარგლებში, გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის დროს სტუდენტების მოდულით გათვალისწინებული ტექნიკური აღჭურვილობით და სასწავლო რესურსებით სარგებლობას.

მემორანდუმის მოქმედების ვადა და მხარეთა რეკვიზიტები
წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2025 წლის 31
დეკემბრამდე



მერაბ ხალვაში
რექტორი,

ჯამბულ აბაშიძე
დირექტორი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

შპს „გიგი“

ქ. ბათუმი, ლერმონტოვის 96 ა

საკონტაქტო ინფორმაცია: +995 599

მის: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის

ა 35/37